Ana Letodiani
ანა ლეთოდიანი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Shota Rustaveli Institutie of Georgian Literature
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
Georgia, Tbilisi
საქართველო, თბილისი

Liminality Theory and Vazha-Pshavela's "The Snake-Eater"

ლიმინალობის თეორია და ვაჟა-ფშაველას "გველისმჭამელი"

Concept of liminality is associated with the changes in life of various types. According to anthropologic theory of liminality, any variability implies three phases. 1. Separation; 2. Liminality; 3. Incorporation.

According to the liminality theory, in interpretation of the literary text, naturally, following of the characters' transformation process is of particular interest. Our attention was focused on the way of comprehension of the characters with certain common signs, in this case – Vazha-Pshavela. In his poems "Host and Guest" and "Aluda Ketelauri" the process of the characters' internal transformation correspond to the stages distinguished within the liminality anthropological theory. In our view, the situation is different, to some extent, in case of Mindia, the main character of "The Snake-Eater"/ His transformation process does not fully correspond to the stages identified according to anthropological theory of liminality.

Keywords: Liminality Theory; Vazha-Pshavela; "The Snake-Eater"
საკვანძო სიტყვები: ლიმინალობის თეორია; ვაჟა-ფშაველა; „გველისმჭამელი"

ლიმინალობის ცნება ორ განსხვავებულ სივრცეს შორის მიჯნას აღნიშნავს. ის სხვადასხვა ტიპის ცხოვრებისეულ ცვლილებას: სოციალური სტატუსის, ღირებულებების, ნორმების, პიროვნული თუ სხვა ტიპის ტრანსფორმაციას, უპირველესად, კი, იდენტობის ძიების პროცესს უკავშირდება (Геннеп, 1983, გვ. 8; Тёрнер, 1983, გვ. 168). ლიმინალობის ანთროპოლოგიური, კერძოდ, არნოლდ ვან გენეპის თეორიის თანახმად, ნებისმიერი სახის ცვალებადობა მოიცავს 3 ფაზას. 1. სეპარაცია ანუ გამოცალკევება; გარკვეული სოციალური ერთობისაგან გამიჯვნა ინდივიდუალური არჩევანის საფუძველზე; ამ დროს ინდივიდი ერთობისათვის ნიშნეულ მახასიათებლებს კარგავს. 2.მარგინალობა, ლიმინალობა, ეს, სტადია გულისხმობს ნორმატიული კონტექსტისაგან გამოცალკევებას და ადრინდელის საპირისპირო სამყაროს შექმნას. 3.ინკორპორაცია/რეაგრეგაცია, გაერთიანება, საზოგადოებაში განახლებული სოციალური სტატუსით დაბრუნება (Геннеп, 1999, გვ. 15; რატიანი 2010: 110, 111; Bräunlein, 2012, გვ. 96). მოგვიანებით, ვიქტორ ტერნერმა განავითარა გენეპის "გადანაცვლების" პროცესის სამეტაპიანი მოდელი და შემოგვთავაზა ე.წ. სოციალური დრამის ოთხნაწილიანი სქემა. ტერნერთან ლიმინალობა გაცდა ვიწრო ანთროპოლოგიურ ჩარჩოებს და უფრო ფართო მნიშვნელობა მიიღო. ტერნერის თანახმად, ლიმინალობა ოთხი ფაზისაგან შედგება:

1. უთანხმოება; დაპირისპირება სოციალურ ნორმასთან;
2. კრიზისი და კონფლიქტი;
3. აღმდგენი ქმედება; კონფლიქტის მოგვარების ცდა (რიტუალი);
4. რეინტეგრაცია ანუ შეერთება (Тёрнер, 1983, გვ.13; Förster, გვ. 3).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ლიმინალობის თეორიის დახმარებით სხვადასხვა ცხოვრებისეული მოვლენის გააზრებაა შესაძლებელი. ამ თეორიის მიხედვით მხატვრული ტექსტის ანალიზის შემთხვევაში, საყურადღებოა პერსონაჟთა შინაგანი ცვლილების პროცესისათვის თვალის მიდევნება, რა იქცევა მათი ტრანსფორმაციის საფუძვლად, როგორი ფორმით გადიან ლიმინალობის თეორიის თანახმად განსაზღვრულ ფაზებს განახლების გზაზე. ამჯერად, ჩვენთვის საყურადღებოა, ერთი ავტორის, ამ შემთხვევაში, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ფარგლებში როგორ შეიძლება გავიაზროთ ლიმინალობის თეორიის საფუძველზე, გარკვეული ნიშნებით მსგავს პერსონაჟთა სახეები. აქამდე, შევეცადეთ ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის დახმარებით გაგვეანალიზებინა ვაჟა-ფშაველას პოემები, „ალუდა ქეთელაური“[1], „სტუმარ-მასპინძელი“[2]. ამჟამად, „გვალისმჭამელსა“ და მინდიას პერსონაჟზე შევაჩერებთ ყურადღებას.

„გველისმჭამელში“ სიუჟეტის დაწყებიდან მალევე ვიგებთ, რომ ქაჯებთან 12 წლიანი ტყვეობის დროს (ლიმინალობის თეორიის თანახმად, მინდიას ეს მდგომარეობა სეპარაციის კონდიციას შეესაბამება) მინდია განიცდის „სამშობლოს გარეთ ყოფნას“. ტყვეობით შეწუხებულს, ერთადერთ გამოსავლად თავის მოკვლა ესახება და ამ მიზნით ჭამს გველის ხორცს. სიკვდილის ნაცვლად, ის გრძნეულების უნარს შეიძინს. თვითმკვლელობის გადაწყვეტილება, 12 წლიანი ტყვეობის შედეგია, რაც, ბუნებრივია, მძაფრი კრიზისის მაჩვენებელია. ლიმინალობის ფაზის, ინდივიდუალური კრიზისის დასაწყისს, ხშირად გარკვეულ კრიტიკულ, სოციალური სტატუსის დაკარგვას, განშორებას და სხვა ამ ტიპის მოვლენას უკავშირებენ (Фусу, 2018, გვ. 146). სწორედ, განშორებაა (სამშობლოსთან, ოჯახთან, ახლობლებთან) მინდიას კრიზისის საფუძველი. ტერნერის თანახმად, ლიმინალობა მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ, როგორც შუალედური მდგომარეობის, არამედ, როგორც ზღვრულ სიტუაციებში მიღებულ გამოცდილებაზე ადამიანური რეაქციების მარკერი. ამ დროს საყურადღებოა როგორი ზეგავლენა აქვს ლიმინალობას პიროვნებაზე. ტერნრისთვის ლიმინალობა იმგვარი კონდიციაა, როცა იდენტობა გარკვეულ დონეზე წაშლილია, ადამიანი დეზორიენტირებულია, თუმცა, ეს ფაზა, ამავე დროს, ახალ პერსპექტივებსაც აჩენს. ეს პროცესი ნათლად იკვეთება მინდიას ტყვეობის ეტაპზე, როცა ის გველის ხორცის მიღებას გადაწყვეტს. ის დეზორიენტირებულია, სამშობლოს, მისიანებს მოშორებულს აღარ უღირს სიცოცხლე და თავის მოკვლა ურჩევნია. თვითმკვლელობა, ესაა მისი რეაქცია კრიზისულ, ზღვრულ სიტუაციაზე. თვითმკვლელობის ასპექტს მოგვიანებით დავუბრუნდებით. ლიმინალობის გადალახვის არსი არის ის, რომ ამ პერიოდის გადატანის შემდეგ სუბიექტი აცნობერებს საკუთარ თავში შესამჩნევ ცვლილებებს, აღარ არსებობს ძველი, ჩვეული თვისებები. რაც მთავარია, ეს ცვლილებები მისი სურვილით მოხდა. ეს ცვლილებები მიუთითებს პიროვნულ ზრდაზე. ალუდას და ჯოყოლას შემთხვევაში, ცვლილებები მათი სურვილით, შინაგანი წინააღმდეგობების გადალახვის საფუძველზე ხდება. ჯერ კიდევ, სეპარაციის საფეხურზე ჩანს, რომ ისინი მოფიქრალი პერსონაჟები არიან, ცდილობენ გააცნობიერონ მათ ფსიქიკაში, ცნობიერებაში მომხდარი ძვრები და ამ ფიქრის შედეგად წყვეტენ, როგორ გააგრძელონ ცხოვრება. მინდიას შემთხვევაში, განსხვავებული ვითარებაა,

[1] ანა ლეთოდიანი. „ალუდა ქეთელაურის“ გააზრებისათვის („ლიმინალობის თეორია და „ალუდა ქეთელაური“). V საერთაშორისო სიმპოზიუმი; ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები; მითოსური აზროვნება, ფოლკლორი და ლიტერატურული დისკურსი. ევროპული და კავკასიური გამოცდილება. ეძღვნება ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 150-ე წლისთავს. ნაწილი I. გვ. 83.

[2] ანა ლეთოდიანი. ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ და ლიმინალობის თეორია. ქართველური მემკვიდრეობა.XXVII. 2023.გვ. https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.14

არსებული მდგომარეობის ცვლილების გადაწყვეტილება თავად მიიღო, მაგრამ ცვლილებები, ახალ რეალობასთან (გულთმისნობის უნარის შეძენა) რეაგრეგაცია (შეერთება), მისი სურვილი არ ყოფილა, მისი ჩარევის, მისი ცდის გარეშე, "გარედან შემოსული" მოცემულობაა, აქ არ ჩანს სიახლის გაცნობიერების პროცესი, ერთადერთი, რასაც მინდია გრძნობს გაკვირვებაა. შემთხვევითია მისი ტრანსფორმაცია და შესაძლოა, ამიტომაც ვერ იაზრებს ის მომხდარს ცნობიერ დონეზე ალუდასა და ჯოყოლას მსგავსად.

ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის თანახმად, ადამიანის ცხოვრება შედგება ლიმინალობის (გადანაცვლების) და შედარებით სტაბილური მდგომარეობისაგან, ამდენად, სეპარაცია, ლიმინალობა (ზღვრული ფაზა) და ინკორპორაცია მუდმივი პროცესია. ხევსურეთში დაბრუნებული მინდიასთვის ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება. თავიდან მისთვის ადრე ჩვეულ გარემოსთან სეპარაციის პროცესი არ აღმოჩნდება მარტივი. როგორც ლიმინალობის ფაზის გავლის შემდეგ არ ესმით თემის წევრებს ალუდასა და ჯოყოლას საქციელი, ასევე ხდება მინდიას შემთხვევაშიც. ხატობის ეპიზოდამდე, მინდია, ერთგვარად მარგინალიზებულია, ლიმინალურ ფაზაშია, მისი ქცევა და დამოკიდებულებები გაუგებარია სხვებისთვის. თუმცა, ხატობაზე მომხდარის შემდეგ, როცა მისი საქციელით გულისწყრომის გამომხატავ ხევსურებს, ორი ჩიტის ამბავს მოუყვება, მისთვის დგება მორიგი ინკორპორაციის, ცხოვრების შედარებით სტაბილური ეტაპი, განახლებული სტატუსით. გამოვლენილი სიბრძნის გამო, ის, დიდ პატივისცემასაც დაიმსახურებს. ხევსურეთში ყოფნის პერიოდი უფრო დეტალურადაა სიუჟეტში აღწერილი და შესაბამისად, ლიმინალობის თეორიის მიხედვით განსაზღვრული ფაზებისთვის თვალის მიდევნებაც უფრო იოლია. მინდიას ცხოვრებაში ლიმინალობის მორიგი ფაზა, თავს იჩენს მაშინ, როცა ოჯახის საჭიროებისათვის ხესაც მოჭრის, ნადირსაც მოკლავს და ამის გამო კარგავს გრძნეულების უნარს, მისთვის მძიმეა იმის გააზრება, რომ ცოდნის დაკარგვის გამო, აღარ ესმის მცენარეთა ხმა, აღარ შეუძლია საკუთარ ხალხს მტერთან ბრძოლაში გაამარჯვებინოს. ამ შემთხვევაში ლიმინალობის ეტაპზე (არც აქეთ, არც იქეთ, დეზორიენტირებულ სივრცეში) მყოფი მინდიას განცდები უფრო ტრაგიკულადაა გამოხატული, ვიდრე ამავე ფაზაში, ქაჯების ტყვეობაში მყოფისა. ეს ლოგიკურიცაა, რადგან მინდიასთვის შეძენილი ცოდნის რეალიზების ასპარეზი, სწორედ ხევსურეთია. მინდიასთვის კიდევ ერთი ლიმინალური ფაზა დგება არა გამყარებული საზოგადოებრივი სტრუქტურისაგან გამოყოფის, არამედ, წინანდელი მდგომარეობის, ცოდნის დაკარგვის გამო. ამ დროს უფრო კარგად ჩანს მინდიას შინაგანი ტკივილი, მისი იდენტობის შეგრძნება გაბუნდოვანებულია, მისი მდგომარეობა სიზმრისეულს ჰგავს. ასეთ შემთხვევაში, ინდივიდი დგას აუცილებლობის წინაშე, განსაზღვროს საკუთარი არსი და ახალი სოციალური წესრიგი..." (ბ. ტომასსენი). მინდია კურატების შეწირვით ცდილობს ძველი მდგომარეობის დაბუნებას (ეს საქციელი ვ.ტერნერის თეორიის მიხედვით, აღმდგენი ქმედების, კონფლიქტის მოგვარების (რიტუალის) ფაზას თანხვდება[1]).

ლიმინალობის ფაზა, უმეტესად, გზის მოტივს, ხეტიალს მოიცავს. „გველისმჭამელში" ისევე, როგორც „სტუმარ-მასპინძელში", „ალუდა ქეთელაურში" მოქმედების ხანგრძლივობის და სივრცეში გადაადგილების თვალსაზრისით დრო-სივრცე შეკუმშულია, ლოკალიზებულია (ქაჯების სივრცე, მინდიას სოფელი). ვფიქრობთ, ამას დასახელებული ტექსტების ჟანრული თავისებურებაც განაპირობებს. ფიზიკურ სივრცეში განვითარებული მოვლენების კვალდაკვალ, განსაკუთრებით მნიშვნელობს პერსონაჟის შინაგან სამყაროში მიმდინარე პერიპეტიები. მინდიას შემთხვევაში, განსხვავებით ალუდასა და ჯოყოლასგან საყურადღებო ფაქტია, ის, რომ ცოდნის დასაწყისში აღვნიშნეთ რომ ამ ფაქტორს დავუბრუნდებოდით. როგორც ჩანს, რთულ სიტუაციაში მყოფი მინდი-

[1] *ტერნერი მიიჩნევს, რომ როცა კონფლიქტი განსაკუთრებით მწვავდება, მხოლოდ რიტუალის საშუალებითაა შესაძლებელი განხეთქილებასთან ახლოს მყოფი სოციალური სტრუქტურის აღდგენა, ან მშვიდობა მიიღწევა განხეთქილების დაკანონებით. რიტუალის სიმბოლოებს აქვს სინთეზური ხასიათი, აერთიანებს განსხვავებულ და ლოგიკურად შეუთავსებელ იდეებს (Тёрнер, 1983, გვ.12).

ასთვის გამოსავალი, ყოველ ჯერზე თვითმკვლელობაა და არა სხვა ტიპის რაციონალური ქმედება. სიუჟეტის მიხედვით, დაჭრილ მინდიას დაკარგვით გამოწვეული დიდი ტკივილის დროს, თავის უბედურებაში სხვებს (მზიას)უფრო ადანაშაულებს, ვიდრე საკუთარ თავს. ლიმინალობის რთული ფაზის გავლა თვითჩაღრმავებას გულისხმობს, რაც ნაკლებად ჩანს მინდიას შემთხვევაში. თუ „სტუმარ-მასპინძელში“ ჯოყოლას მარტო ბრძოლა ქისტებისთვის იმის დამტკიცებას ისახავს მიზნად, რომ ის ორგული, მოღალატე, „რჯულზე გამდგარი“ არ არის (ვაჟა-ფშაველა, 1985, გვ. 198), მინდიასთვის მარტო ბრძოლა თვითმკვლელობის ტოლფასია. დასაწყისში აღვნიშნეთ, რომ ამ ფაქტორს დავუბრუნდებოდით. როგორც ჩანს, რთულ სიტუაციაში მყოფი მინდიასთვის გამოსავალი, ყოველ ჯერზე თვითმკვლელობაა და არა სხვა ტიპის რაციონალური ქმედება. სიუჟეტის მიხედვით, დაჭრილ მინდიას ხევსურები გამოარიდებენ ბრძოლის ველს და საყვედურობენ, წინა ხაზზე გადასვლით, ძალით რატომ იკლავდა თავს. თანამებრძოლების მიერ გადარჩენილი მინდია თავს იკლავს, თითქოს რკალი იკვრება, კომპოზიცია წრიულია, რასაც თვითმკვლელობის მოტივი განაპირობებს. ამბის დასაწყისში მინდია თავის მოკვლას ცდილობს და მოქმედება ტექსტში მინდიას თვითმკვლელობით სრულდება. სიუჟეტის დასაწყისში ვერ მოახერხა თავის მოკვლა და სიკვდილის სანაცვლოდ გრძნეულების უნარი შეიძინა, რაც თითქოს ერთგვარი გამოცდაც იყო, როგორ გამოიყენებდა ამ ცოდნას. მინდია ვერ გაართმევს ამ გამოცდას თავს, სავარაუდოდ, სიუჟეტის დასაწყისში, ქაჯების ტყვეობისგან თავის დაღწევაც მის ძალებს აღემატებოდა, ვერაფერი მოიფიქრა თვითმკვლელობის გარდა. პოემის ფინალში მინდია თავს იკლავს და ვეღარ ვხედავთ მის მორიგ ინკორპორაციას, თუ ამ ფაზად არ მოვიაზრებთ ალტერნატიულ, არაამქვეყნიურ დრო-სივრცეს, თუმცა, ტექსტის მიხედვით ამაზე მსჯელობა, რთულია, განსხვავებით “სტუმარ-მასპინძელის” ფინალისაგან. სიუჟეტის ბოლოს აღწერილი ჩვენება ჯოყოლას, აღაზას და ზვიადაურს არაორდინარულ, ალტერნატიულ დრო-სივრცეში წარმოგვიჩენს, ანუ ისინი ანტიტემპორალურ გარემოში, მარადისობაში ინკორპორირდებიან. „ალუდა ქეთელაურის“ შემთხვევაში, ღია ფინალი გვაქვს. ლიმინალობის კონდიციაგადალახული ალუდა ოჯახთან ერთად მიდის სოფლიდან, გაურკვევლია საით, მაგრამ მთავარია, რომ ის აღარაა ცნობიერად იმ თემის ნაწილი, რომლის სახელიანი წევრიც იყო. სოფელში რჩება მინდია, რომლის საქციელის საფუძველზე (ბავშვებს არ მისცა მუცალის მკლავის ძვლით თამაშის უფლება), შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასში იგრძნობა ლიმინალობის პოტენციალი. „გველისმჭამელის“ შემთხვევაში, არც ანტიტემპორალურ სივრცეში ინკორპორირებაზე შეგვიძლია საუბარი და ვერც ლიმინალობის პოტენციალზე ვიმსჯელებთ. შეიძლება ითქვას, ლიმინალობის თეორიის კონტექსტში მინდიას სახის გააზრება ამყარებს გრიგოლ კიკნაძის აზრს, რომ მინდია უფრო ინტუიტური პერსონაჟია (კიკნაძე, 1978, გვ. 164). ჩვენი მხრივ დავამატებთ, რომ ალუდა და ჯოყოლა რაციონალური, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოფიქრალი პერსონაჟები არიან და გადაწყვეტილებებსაც ამის მიხედვით იღებენ. ალუდასა და ჯოყოლას ცვლილება მათი ღირებულებითი ორიენტირების, საზოგადოებაში გამყარებული ნორმების რღვევას მოყვება, ამიტომაც იწვევს ეს ყველაფერი შინაგან ძვრას, გადაფასების მტკივნეული პროცესს, რაც, საბოლოოდ ინსპირაციად იქცევა ტრანსფორმაციისათვის. მინდიას შემთხვევაში, გრძნეულების უნარი მიღება არ უკავშირდება ღირებულებით სისტემას, ის მას „მზა“ მოცემულობის სახით ეძლევა. არსად ჩანს, რომ ცოდნის ამ უნარის მიღების შემდეგ იგი აანალიზებს მომხდარს. ამ ამბის შემდეგ, მასში პიროვნულად არაფერი იცვლება. იგი მხოლოდ ამ ცოდნის მქონე ადამიანის შესაბამისად იქცევა. ამით შეიძლება ავხსნათ, ის ფაქტიც, რომ მინდია ვერ ახერხებს ინკორპორაციას. ტერნერის კონცეფციის თანახმადაც, ლიმინალობის პროცესი, ყოველთვის რეინტეგრაცით არ შეიძლება დასრულდეს (Förster, 2003, გვ. 2).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველას პოემებში „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“ პერსონაჟთა შინაგანი ტრანსფორმაციის პროცესი, შეესაბამება ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის მიხედვით გამოყოფილ ეტაპებს. დასახელებულ მხატვრულ ტექსტებში ინდივიდთა სეპარაციის, ლიმინალობის მტკივნეულ, კრიზისულ ფაზებს, ფიქრის, გაც-

ნობიერებული გადაწყვეტილების საფუძველზე სეპარაციის, ლიმინალობის და ინკორპორაციის პროცესს ვადევნებთ თვალს, თუმცა, განსხვავებული ვარიაციებით. ვფიქრობთ, გარკვეულწილად, განსხვავებული ვითარებაა „გველისმჭამელის“ მთავარი პერსონაჟის, მინდიას შემთხვევაში. მისი ტრანსფორმაციის პროცესი ლიმინალობის ანთროპოლოგიური თეორიის მიხედვით გამოყოფილ საფეხურებს სრულად არ ესადაგება, თუმცა, სწორედ ამიტომაა ამ პერსონაჟის სახე საყურადღებო.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვაჟა-ფშაველა. (1985). თხზულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

კიკნაძე გრ. (1978). ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა//ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები. თბილისი: თსუ-ს გამომცემლობა.

რატიანი, ი. (2010). ტექსტი და ქრონოტოპი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Bräunlein Peter J., (2012). Victor W. Turner: Rituelle Prozesse und kulturelle Transformationen. https://bibliographie.unituebingen.de/xmlui/bitstream/; handle/10900/101155/Br%C3%A4unlein_058.pdf?sequence=1.;

Förster T. (2003). Victor Turners Ritualtheorie. https://ethnologie.philhist.unibas.ch/fileadmin/user_upload/ethnologie/Dokumente/Forschung_und_Doktorat/Foerster_Victor_Turners_Ritualtheorie.pdf;

Геннеп Арнольд Ван. (1999). Обряды Перехода. Москва. Издательская фирма „Восточная Литература”.

Фусу Л. И. (2017). Концепции лиминальности в научном дискурсе как междисциплинарная проблема. http://publishing-vak.ru/file/archive-philosophy-2017-3/22-fusu.pdf.;

Тернер Виктор. (1983). Символ и Ритуал. Издательство «Наука».

References:

Bräunlein Peter J., (2012). Victor W. Turner: Rituelle Prozesse und kulturelle Transformationen. https://bibliographie.unituebingen.de/xmlui/bitstream/; handle/10900/101155/Br%C3%A4unlein_058.pdf?sequence=1.;

Förster T. (2003). Victor Turners Ritualtheorie. https://ethnologie.philhist.unibas.ch/fileadmin/user_upload/ethnologie/Dokumente/Forschung_und_Doktorat/Foerster_Victor_Turners_Ritualtheorie.pdf;

Fusu L. I. (2017). Kontseptsii liminal'nosti v nauchnom diskurse kak mezhdistsiplinarnaya problema. [Concepts of liminality in scientific discourse as an interdisciplinary problem]. http://publishing-vak.ru/file/archive-philosophy-2017-3/22-fusu.pdf

Gennep Arnol'd Van. (1999). Obryady Perekhoda. [Rites of Passage]. Moskva. Izdatel'skaya firma „Vostochnaya Literatura”.

K’ik’nadze Gr. (1978). Vazha-Pshavelas khuti p’oema//lit’erat’uris teoriisa da ist’oriis sak’itkhebi. [Five Poems of Vazha-Pshavela // Issues of Theory and History of Literature]. Tbilisi: tsu-s gamomtsemloba.

Rat’iani, I. (2010). T’ekst’i da kronot’op’i. [Text and Chronotope]. Tbilisi: tbilisis universit’et’is gamomtsemloba.

Terner, Viktor. (1983). Simvol i Ritual. [Symbol and Ritual]. M.: «Nauka».

Vazha-Pshavela. (1985). Tkhzulebani. [Works]. Tbilisi: „sabch’ota sakartvelo“.